| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება

დ. ზ. ბაქრაძის თხზულება

**ისტორია საქართველოსი**

(უძველესის დროიდამ მე-X საუკ. დასასრულამდე)

ფასი ერთი მანეთი

(10—0—4)

---

## ახალი ამბავი

⁂ ამ მოკლე ხანში ტფილისიდგან სვანეთში მიემგზავრება სამი წევრი რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოებისა. ამ წევრთ ხსენებულ საზოგადოების მიერ დავალებული აქვთ, გამოიკვლიონ თვით სვანეთი გეოლოგიურად და აგრეთვე იქაური მყინვარებიც.

⁂ ტფილისის საგუბერნიო საგლეხო საქმეთათვის დაარსებულმა დაწესებულებამ, თანახმად ტფილისის გუბერნატორის თავმჯდომარეობითა და ტფილისის გუბერნიის მომრიგებელ შუამავალთა თანადასწრებით მომხდარის დადგენილობისა, გარდასწყვიტა, რაც-კი რამ პური შემოვა პურის შესანახს მაღაზიებში, ფულად აქციოს და ხაზინაში შეინახოს. ხოლო თუ როგორ უნდა მოიხმარონ ეს ფული, ამის შესახებ განკარგულება უნდა მოახდინოს ხოლმე საგუბერნიო ადმინისტრაციამ. ამ გვარი გადაწყვეტილება ზემოხსენებულის დაწესებულებისა იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ მომეტებულის ნაწილის პურის მაღაზიების საქმე ამ ჟამად რიგიანად ვერ მიდის.

⁂ წელს ტფილისის მეორე კლასიკურს გიმნაზიაში სულ 15 მოსწავლემ დაამთავრა სწავლა და მიიღო ატესტატი. ამათში ქართველი მხოლოდ ერთია, სახელდობრ, ქართველიშვილი.

⁂ ს. მეჯრუხევი. სამთა ავაზაკთა, დვალიშვილების სიკვდილის შემდეგ, შემდეგი ყაჩაღობა კიდევ ჩაიდინეს. ცხინვალიდამ გორში და გორიდამ ცხინვალში მოსიარულე ერთი ხალხით სავსე დილიჟანი გაძარცვეს; იმ ღამესვე სოფელ გარდატენის გლეხს, როინაშვილს, რომლის ამბავი „ივერიის“ მე 126 ნომერშიაც იყო მოხსენებული, სახლში შეუხდნენ და ცხრა თუმნამდე წაართვეს; ამ დღეებშივე მოჰკლეს სოფ. ზღუდერის მცხოვრებელი, 27 წლის ყმაწვილი კაცი, მიქაძე. როგორც ლაპარაკობენ, მიქაძესთან ჰქონიათ მსვლელობა და კავშირი ხსენებულს ავაზაკებს. ეს კავშირი შეუტყვია პოლიციას და მიქაძესათვის დაუვალებია ავაზაკების გაცემა. მიქაძეც შეჰპირებია. ღალატი ავაზაკებს გაუგიათ! ერთს ღამეს ჩვეულებისამებრ მოსულან და მიქაძე კარში გამოუძახნიათ. უკანასკნელი ჯერ-კი შეფიქრიანებულა, მაგრამ შემდეგ ისევ გასულა. გასვლა მისი და ავაზაკისაგან გულში თოფის მიცემა და გათავება ერთი ყოფილა. თოფის გავარდნაზედ მიუძახიათ: აი ესე უნდა თქმა: „მალე მტერი მოგიკვდეთ, მალე ის ავაზაკები ხელში ჩაგივარდეთო“. იმის დასამტკიცებლად, რომ არაფრის შიში და რიდი არა აქვთ, მოვიყვან შემდეგს მაგალითებს; თვით მეჯრუხევში ორჯელ იყვნენ—ერთხელ გლეხ-კაცთან გაატარეს ღამე, მეორედ ქორწილის ხალხს ბინდ-ბანზე გვერზე გაუარეს და თან ქალი მიჰყავდათ. მექორწინეთ როგორც მიუახლოვდნენ, შორიდამ ერთს კაცს დაუძახეს და აქაურივე მცხოვრებელის დაძახება დაავალეს. დავალებულმა, მიუხედავად იმისა, რომ ცხენიანი, ავაზაკები მთლად იარაღში ისხნენ, გალანძღა და ისე უნდოდა გასტუმრება. ავაზაკებმა არც აცივეს, არც აცხელეს, პირდაპირ თოფები მოუღერეს და ის იყო გაათავებდნენ, თუ აქაურივე მამასახლისი არ გადაფაფრებოდა წინ და დიდის ხვეწნითა და მუდარით არ შეეცოდებინა უბედურის კაცის წვრილშვილობა. ამას შემდეგ ყაჩაღებმა ნელის ნაბიჯით გასწიეს თავისს გზაზედ. მთლად ოსის ხეობა დიდს აღტაცებაშია თავისის მოძმეების ვაჟკაცობით და ყოველი მათგანი დიდის სიამოვნებით აძლევს ავაზაკებს საჭმელს, ბინასა დ̃ შემწეობას გაჭირვების დროს. მაზრის უფროსის თანაშემწე ჩაფრებით დასდევდა ავაზაკებს დასაჭერად. ტფილისის მაზრიდგანაც და აგრეთვ სხვაე მაზრების ბოქაულებიც გაგზავნილნი არიან ავაზაკების სადევნელად, აქავე თითო სოფლიდგან თითო კაცი გამოუყენეს მათს კვალს, მაგრამ ხალხი მაინც ეჭვშია, შინაურები ჰფარავენ, გარეულები რას იზამენო. ჯერ ამ ორს მაზრას ჰბატონობენ—გორისას და დუშეთისას და ცხადია, თუ ვერ დაიჭირეს, სხვა მაზრებშიაც იბრძანებლებენ.

⁂ სუფსა (გურიიდგან): ამ ივნისის 16, კვირას, ნაშუადღევს, მიქელგაბრიელის საზოგადოებაში ერთი დიდად სამწუხარო ამბავი მოხდა. ამ საზოგადოებაში მცხოვრებელმა გლეხმა ბიგილო მექვაბიშვილმა კვირას სიმინდი წაიღო ურმით დაბა შეკვეთილს და თან გაიყოლია თავისივე ვაჟიშვილი 18 წლისა. როცა სიმინდი ჩაიტანა დაბა შეკვეთილს და გამობრუნდა, ღამე იყო თურმე. მდინარე სუფსასთან დგანან დარაჯები, ამ დარაჯებს უნახავთ, რომ ურემი უპატრონოდ მოდის, ხარები დასვლებული ყოფილან გააჩერეს თურმე ხარები და მივიდნენ მდინარის პირზე, ჩაიხედეს წყალში და დაინახეს ორივე-მამა შვილი დამრჩვალი და გამოიტანეს ხმელეთზედ.

როგორც სჩანს, როცა მექვაბიშვილი დაბრუნებულა დაბა შეკვეთილიდგან, ღამე ყოფილა და ამის მიზეზით ორივეს ურემზედ დასძინებია. ხარებს ურემი უალაგო-ალაგს გაუტარებიათ, მდინარეში გადაუბრუნებიათ და შიგ გადაუყრიათ, თორემ სხვაფრივ ძნელად წარმოსადგენია ამათი დარჩობა, რადგან მდინარე სუფსა ისეთი პატარა წყალია, რომ ზოგან კაცი ფეხითაც გავა.

„ხევი“ (საქართ. სამხედრო გზა) გუშინ, 19-ს თიბათვეს, დარიელსა და ლარსს შუა გზაში რუსის ყაზახებმა მოჰკლეს ერთი ახალ-გაზდა ხევსური. დილის 11 საათი იქნებოდა, უნაგირის ცხენით კავკავისკენ ჩაიარა სატევრით და დამბაჩით შეიარაღებულმა ხევსურმა. ხევსურს გზაზედ წინ შემოხვდენ აქ მოსამსახურე ყაზახები, რომლებმაც სხვათაგან შებიზღებულს ხევსურს შენიშნეს, ვითომ-და მიჰგყავს ვიღასიც ფშავლისაგან მოპარული ცხენიო. ყაზახებმა ხევსურს დაპატიმრება მოუწდომეს, მაგრამ ახალგაზდა ხევსურმა შემოჰკრა მათრახი ცხენს და მოუსვა კავკავისკენ. ამის გამო ყაზახები უფრო დარწმუნდნენ, რომ ხევსური ქურდი არისო, და ერთი ყაზახი თავგამოდებით დაედევნა ხევსურს. ხევსურმა რომ ველარსად გაასწრო, ცხენს თავი დაანება და თვითონ-კი შეუდგა ლარსის ძველის ციხის ძირს მთასა. მაშინ თავგამოდებით მიმდევარმა ყაზახმა ორი ბერდენაც ესროლა, ორივე მოახვედრა და იქვე გაათავა საცოდავი ახალგაზდა ხევსური. საბრალო გადაცვლილი ხევსური ლარსში მოასვენეს და საქმე გამოძიებაშია. არ ვიცით ხევსური მართლა ნაპარევის ცხენით მიდიოდა კავკავში, თუ ყაზახების შარის თავიდგან ასაცილებლად შეშინებულმა გაქცია არჩია.—ამას რასაკვირველია, გამოძიება აღმოაჩენს.

⁂ იქიდანვე: ჩვენში მოსავალს კაი პირი უჩანს. თუ ამისთანა ამინდებმა გასტანა, თუმც პური მთელის წლის საკმარისი არ მოგვივიდა, ქერი-კი წინა წლებთან შედარებით მეტი მოგვივა. წელს ცხვარიც კარგად გამოიკვება და მატყლიც კარგი აქვს, მაგრამ ვაჭრებმა პირი შეჰკრეს და როგორც უნდოდათ ისე დაინარჩუნეს აქაური მოსავალი. სამწუხაროდ, კაცი არა გვყავს, რომ მატყლის მოვაჭრე კაცები გაგვაცნოს და ჩვენ თითონ პირდაპირ მივყიდოთ. სკოლისთვის ფულის მოკრებასაც შევუდეგით და როდის მოვაგროვებთ საჭირო თანხას, ღმერთმა უწყის.

⁂ სოფ. ოლგინსკი. (კავკავის მაზრა): ამ ერთის კვირის წინად ამ სოფელში მცხოვრები ქორთი ხეთაგოვი იმსხვერპლეს ქისტებმა. აი საქმე როგორ იყო: ქორთი ხეთაგოვი, მარტო ხელი ყმაწვილი კაცი, ძალიან გამრჯე და შრომის მოყვარე, გროზნაში იყო ორის ცხენის ურმით ქირაზედ. გროზნიდგან შინ გვიან მოვიდა. რასაკვირველია, ცხენებიც მშივრები ჰყავდა, და, თუმცა თავადაც დაღალული იყო, მაინც თავისი შეწუხება არჩია საცოდავმა პირუტყვების შეწუხებას და საძოვარზედ წაასხა მინდორში. ცხენები საძოვარზედ მიუშვა, თვითონ-კი იქვე წამოწვა და დასძინებოდა. ამ დროს, საბრალოს ქისტები დაეცნენ. თვითონ ხანჯლის მეტი არა ჰქონდა-რა ზედ და ქისტები რომ დაინახა, თურმე ხანჯალი გაიძრო და იმითი მიაშურა, მაგრამ ერთმა მათგანმა აქუხა თოფი, საბრალოს შიგ მარჯვენა წარბში მოხვდა ტყვია და იქვე ხანჯალით ხელში პირქვე წაიქცა, მეორე დღეს ქორთი რომ აღარსად სჩანდა, წავიდა მდევარი და მდევარმა იპოვნა ქორთის გვამი. ავაზაკების კვალი იქვე ახლო ქისტების სოფელს მაციყოში მიიტანეს და გამოძიება სწარმოებს.

ბარის ოსებში სიმინდის თოხნა გაათავეს და ქერების მკასა და სათიბის თიბვას მიჰყვეს ხელი.

⁂ კავკავი. ამას წინად საქართველოს სამხედრო გზაზედ, ბალთასა და ლარსშუა ორი დარღაველი ოსი მოჰკლეს, გვარად ესენოვები. მკვლელები მთის ხალხი ყოფილიყვნენ, როგორც გავიგეთ, მოხევეები და კავკავიდგან სიმინდები მიჰქონებოდათ ცხენებით. ამათ ცხენები შესვენეს თურმე საძოვარზედ და ამ დროს მიეპირა სამი ოსი ცხენების მოსაპარად, მოხევეებმა თურმე მალე გაუგეს ქურდებს, ორი ოსი მოჰკლეს და მესამე კი გაექცათ. როგორც ამბობენ მოკლული ოსები—ესენოევები ძალიან ქურდნი და მოუსვენარნი იყვნენო.

⁂ სოფელ ქედიდამ სწერენ „ნოვ. ობოზრ.“-ს: ამას წინად ბათუმის ვიცე-გუბერნატორმა თ. ერისთავმა და ბათუმის ოლქის უფროსმა პოლკოვნიკმა სტეფანოვმა ჩვენს საბოქაულო განყოფილებაში რევიზია მოახდინეს, ნაკლი ვერაფერი უპოვეს და ყოველივე საქმე წესისა და რიგისამებრ მშვენიერად აღმოჩნდა ნაწარმოებიო.

⁂ იქიდგანვე სწერენ იმავე გაზეთს შემდეგს ამბავს: მაისის დამლევს მერისის ხეობაში ისეთი საშინელი ავდარი და ნიაღვარი იყო, რომ,რაც ფერდობებზე ნათესი სიმინდი იყო, სულ ერთიანად გადარეცხა, გადალამა და წაახდინა, ასე რომ საწყალი გლეხები იძულებული შეიქმნენ, ხელმეორედ დაებარათ (რადგან დიდი თავქვეებია, გუთანი ვერ გაჰყავთ) და დაეთესათ.—თუ სიცივემ არ უსწრო, ნაგვიანევის მოსავლის იმედი აქვთ. ამ გვარად 150 კომლამდე გლეხი დააზარალა ნიაღვარმა. მთებიდგან წამოსულმა ღორღმა და მიწამ მდინარე აქაურეთი შეაგუბა, წყალი კალაპოტიდგან გადმოვარდა და დიდს მანძილზე წავიდა. როცა წვიმა გადაიღო და მდინარე ისევ კალაპოტში ჩადგა, მშრალზე და გუბეებში აუარებელი კალმახი დარჩა და ხალხი ფუთობით იჭერდაო.

---

### არჩილური, შვიდ-თავი

(საამდროო ამიცანები)

ბარგსაც ატანს, მაგრამ ერთად ლექსს
ცოცხლად სწერს, განსაწონად,
ალთა-ბალთას არ ეწყობა, აზრს გამოსთქვამს გასაგონად,

ჩაივლის და ამოივლის ენის გორებს
მოსაწონად,
ალიაქოთს გვერდს აუქცევს, არცა
შეუდგს ვისმე მონად,
ნელა მდოვრად საუბრის დროს
მსწრაფლ იელვებს ელექტრონად,
არ სჯერდება მარტო ახლებს, ძველ-
თაც იწვევს მოსაგონად.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ქუთაისი.** არა გვგონია მთელს ქუთაისში ან იმის ახლო-მახლო ისეთი მივიწყებული და უყურადღებოდ მიგდებული უბანი ან ქუჩა იყოს, როგორიც ქუთაისის რკინის გზის სადგურის ახლო ახალი უბანია და რომელსაც სახელად იქ მცხოვრებნი „ნოვაია დერევუშკას“ („ახალ-უბანს“) ეძახიან. ხოპერსკის ცხენოსნის პოლკის მახლობლად ათამდე მოსახლ-კარე იქნება ამ პატარა ახალ-უბანში. საშინელს მწუხარებაში არიან საწყლები ცალკე უგზო-უწყლობით და ცალკე ხოპერსკის ცხენოსნის პოლკისაგან.

1) ფეხ-მისადგმელი ალაგი იქვე იმ უბნის ახლო აქვთ და ისიც მეტად უხერხული და ფარღალალა, უკარო და ძლიერ ვიწრო, რის გამოც დღისითა და ღამით საშინელი ცუდი სუნი ტრიალებს და სწამლავს ჰაერს. კაცმა ცხვირი უნდა აიკრას რითიმე და ისე უნდა გაიაროს ამ ახალ-უბანში.

2) მთელი პოლკის ცხენების ნაკელს ფურგუნებით იქვე უბანში ჰყრიან; საცა გაიხედავთ, ორ-ორ, სამ-სამს საჟენზედ ზვინებად არის მოგროვილი. შარშან ზაფხულში ქუთაისის სასანიტარო კომისიის ერთმა წევრმა შეამჩნია ეს საძაგელი სიბინძურე და მისწერა პოლკის უფროსს, რომ რადგან ხოლერის შიშია წელს, ის ცხენების ნაკელი აალებინეთო... მართლაც იმ დღეებშივე ჯარის-კაცებმა ამ სველს ნაკელს რამდენიმე ფუთი ნავთი გადაასხეს და წაუკიდეს ცეცხლი, მთელი ორი კვირა საძაგელი მყრალი ბოლი იდგა, ამ უბნის მცხოვრებნი სახლებიდგან გარეთ ველარ გამოდიოდნენ და გამვლელნი ხომ ერთს ვერსზედ ერიდებოდნენ. მერე ისევ დაიწყეს იქვე გროება ნაკელისა და მუდამ დღე უმატებენ.

3) იქვე უბანში პოლკმა გააკეთა თავლა ცალკე ავადმყოფის ცხენებისათვის. მუდამ დღე ხუთი-ექვსი ავადმყოფი ცხენი აბია იქ და ხშირად იქვე კვდება. ვიდრე ცხენების ექიმი რის ვაივაგლახით არ მოვა და არ შეამოწმებს, მანამდის იქვე უბანში ჰყრია ეს მკვდარი საქონელი.

4) ამ სივიწროეს ისიც დაემატა, რომ იქვე ამ ახალ-უბანში ვიღამაც სამიკიტნო დუქანი გაალო და იქიდგან ხომ სრულიად აღარა აქვს მცხოვრებლებს მოსვენება. დღისით თუ ღამით გალეშილნი რუს-ყაზახები და სხვებიც სხდებიან საქეიფოდ და გათენებამდე ერთი ყიჟინა, ღრიანცელი და უზრდელი ლანძღვა გაისმის. მერე ისეთი ადგილია აქ, რომ წელიწადში ერთხელაც არ მოხვდება პოლიციელის ფეხი.

5) ამ საშინელს შევიწროებასა და გაჭირვებასთან ამ უბნის ვიღაც ბ—ლოვს (რკინის გზის მოხელეთაგანს) უყიდნია ერთს დროს, თორმეტი წელიწადი მეტია, ორ ქცევამდე სამოსახლო მინდორი ამ უბანში, იქ, სადაც ბალახვანისა და რკინის გზის სადგურის მცხოვრებთ საურმე გზა და წყაროც ჰქონიათ. ოცი წელიწადი მეტია, რაც ამ წყაროს წყლითა და გზით სარგებლობდა ხალხი და ეხლა-კი ბატონს ბ—ლოვს მაღალის მესრულით შემოუკავებია გზა და წყალსაც არავის არ ანებებს. შეძლებულებმა ჭები ამოიღეს, ამ ახალის უბნის ხალხი-კი, როგორც უგზოობით, ისე უწყლობით დიდად შეწუხებულია და ეხლა მგონი სასამართლოში უჩივიან ბ-ნს ბ—ლოვს.

იმედია, ყურადღებას მიაქცევენ, ვისიც ჯერ არს, ახალ-უბნის მცხოვრებთა ასეთს სამწუხარო მდგომარეობას და შველასა და ხსნას აღმოუჩენენ რასმე. თუ ასეთმა გაჭირვებამ დიდხანს გასტანა, მგონი სულ ყველანი გადასახლდნენ სადმე და იქაურობას განშორდნენ.

ერთი იქაურთაგანი

---

## თელავის ამბები

### I

თელავი რამდენისამე საუკუნის განმავლობაში ითვლებოდა დედა-ქალაქად მთელის კახეთის სამეფოსი, რომელსაც არა ერთი და ორი სახელოვანი შვილი გამოუზრდია მამულისათვის. ჟამი გავიდა, ახალი დრო დადგა, გეოგრაფიულმა სახელწოდებამ ფერი იცვალა, მაგრამ-კი კახეთის მცხოვრებნი ისევ კახელებად დარჩნენ და თავის დედა-ქალაქად ახლაც ისევ თელავი მიაჩნიათ. დავიჯეროთ, რომ ამისთანა შთამომავლობის მქონებელ ქალაქის ამბავი მეტად გვეჩვენოს, ყურადღების ღირსად არ მივიღოთ, თუ გინდ ეს პარიჟისა, ლონდონისა და ბერლინის ამბებს არა ჰგვანდეს, მათი ელფერი არა ჰქონდეს! ჩემის ფიქრით-კი, კარგი იქნება ეს ამბავი, თუ ავი, მაინც ჩვენი იქმნება, შესახები ჩვენისავე ცხოვრებისა და მაშასადამე ჩვენი სარკე, ჩვენი სურათი. ამისთვის მკითხველთან ახლავე ბოდიშს ვიხდით, თუ ჩვენს ცხოვრებაში სასიამოვნო ამბებთან უსიამოვნოც შეგხვდებათ. ამ განზრახვით დღეს ავიღე ხელში კალამი ამ პირველის ცნობისთვის და, დახე უბედობას, უსიამოვნო ამბით უნდა დავაღონო მკითხველი, იქნება უჩემოდაც დაღონებული შინაურის ვარამისაგან.

15 ამ თთვისას, ღამის თერთმეტს საათზედ, როდესაც ხარაზთა ამქარი „სამღრთოს“ შემდეგ ცისკენ შუშხუნებს უშვებდა, ყრუ-მაიკოს ლატარია თავისის აუცილებელის ლოტოთი გათავებულიყო, კლუბში მეპროფერანსენი თამაშობის ეშხში შედიოდნენ, ხოლო „კავთის“ ეკკლესიის ღამის მთევლები ლხინით იფრთხობდნენ ძილს, „ქათიბა-ლეკი“ თავის ბატონის სახლის აივნიდამ გაშმაგებული ღრიალებდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა: „მიშველეთ, დავიღუპე! მიშველეთ, თქვენი ჭირიმე, მიშველეთ, ქრისტიანები ვინა ხართო!!!“ მეზობლებს ეყურებათ ამისთანა შესაზარის ხმით ყვირილი და ვედრება, მაგრამ, დახე დროს ვითარებას, ყველანი თავს არიდებენ ჩვეულებრივ ფიქრის გამო: „ვაი თუ მოკლეს, ანუ ჰკლენ ვისმე და რად მინდა, რომ მივიდე და შემდეგ მოწმედ მათრიონ სამსჯავროში და საბოლოოდ სიცოცხლე ჩამამწარონო“. „ქათიბა-ლეკის“ ხმას ზედ დაერთობა მისი ამხანაგის „მზარეულის“ ხმაც, მაგრამ უნაყოფოდ. ამ დროს შინ დაბრუნებულნი მელატარიე-მელოტოელნიც დაუახლოვდებიან თელავის ბაღს, გაიგებენ მყვირალთა ვედრების მიზეზს და გაექანებიან ეკკლესიისაკენ ზარების დასარეკად. ერთბაშად რამდენისამე ეკკლესიის სამრეკლოდამ მოეფინა მთელს თელავს ზარების ხმა, ეს ერთად-ერთი უტყუარი ნიშანი იმისი, რომ ცეცხლი ეკიდება სახლსაო. ზარების ხმა, მართალია, გაძლიერდა, მაგრამ ამავე დროს კარებ ჩაკეტილს ოთახებში შეგუბებულმა ცეცხლის ალმაც გააპო კარების შუშა და დაარწმუნა ეჭვით შეპყრობილნი, რომ კაცი-კი არ მოუკლავთ; სახლს ცეცხლი ეკიდება და თვითვე იწვევს მცხოვრებთ: „მობრძანდით და წინ გადამიდექით ჩემ წინაალმდეგ მოგონილის და მომზადებულის თქვენ მიერვე იარაღითაო!“ ზარების ხმაზედ ხალხი შეუდგა გამოკითხვას, თუ ვისი სახლი იწვის და ბოლოს ყველამ შეიტყო და თვალით დაინახა, რომ ცეცხლი ეკიდება იმ სახლს, რომელშიაც სცხოვრობს მაზრის უფროსი.

ეს სახლი ოც-და-მეათე წლებში ყოფილა თელავის დიამბეგის ლაჟიაშვილისა, რომელსაც შემოჰხარჯვია სახელმწიფო ფული და ამის შესავსებად პატრონს ეს სახლი დაუთმია მთავრობისათვის. ამ დროდამ მუდმივ სცხოვრობდნენ ამ სახლში თელავის მაზრის უფროსები დღემდე. რადგან მთავრობას უძნელდებოდა ანუ არ ემეტებოდა ამ სახლზედ ფულის ხარჯვა, ამისთვის ერთს დროს ამ სახლის გაყიდვაც-კი განიზრახა, მაგრამ, რადგან ამავე დროს ელოდდნენ მათის უდიდებულესობის, ხელმწიფე იმპერატორის მობრძანებას, ამისთვის მაშინდელმა მთავარ-მმართებელმა ინება ამ სახლების გამშვენება, რომელსაც მოანდომა 1500 მან. ეს სახლი იმ განზრახვით განაახლეს, უკეთუ მათი უდიდებულესობა მოისურვებდა თელავში დასვენებას. რადგან ამ დროს ორივე სართული გადააკეთეს, ამისთვის ზემო სართულში, ჩვეულებისამებრ, დასახლდა მაზრის უფროსი, ხოლო ქვემო სართულში მოათავსეს სამაზრო სამმართველო თავისის არხივით. ეს სახლი აშენებულია ქალაქის საუკეთესო ნაწილში, შუაგულს ადგილს, ბატონის „პატარა კახის“ ციხის აღმოსავლეთ—სამხრეთს კუთხეში, სადაც ახლაც შეურყევლად და ამაყად სდგას მრავალ დროების მოწმე ბურჯი, რომელზედაც ამ საუკუნის ნახევრამდე იდო ძველის დროის ზარბაზანი შესანიშნავის სიდიდისა; ეს ზარბაზანი აქვე გადაადნეს და ამაყი ბურჯი დაობლეს მოულოდნელად. აი ამ სახლის ცეცხლმა წამოაყენა ფეხზედ მთელი თელავი.

ღამის თორმეტს საათზედ გულსაკლავს სურათს წარმოადგენდა ეს სახლი: ყველა მხრით ცეცხლ-შემოვლებული ულმობელად იწვოდა მთელის ქალაქის თვალ-წინ. გარეშე მაყურებელი იფიქრებდა, რომ მცხოვრებთ ალბად უხარიანთ და ჰსიამოვნებენ ამ ულმობელის სტიქონის მძვინვარებითაო, რადგან მთელი ხალხი, გარდა რამდენისამე ადგილობრივის დრუჟინის ჯარის-კაცისა, ხელს

---

## ფელეტონი

### სურათები და მოჩვენაბანი

### II

დახე, მე ისევ ვცოცხალვარ
გაჩენის უსურვ-მდომელი!
ცა-ქვეყნის შუა ვკიდივარ
ორფეხთა თანა მძრომელი:
ცას მივეწვდები—წამივა,
მიწასა—მიწა მშობელი!
ვეძებ და ვერ მიპოვნია
სამუდმო დასადგომელი.
უნდა წავიდეს ჩემი დღე
ამ ყოფა, წვალებაშია.
რას უდაბურში ჩავვარდი,
რა ოხერს ქვეყანაშია?!
რა ვიცი, ღმერთმა დასწყევლოს,
ჩემსავით არვინ იქნება:
გავხედო: სოფლის ავ-კარგი
ორივ თვალის წინ მიდგება;
ბევრი კარგია, მაგრამ მე
გული არაფრით მიძღება,
—ფეხი აქ მიდგა და სული
სულ სხვაგან მიიზიდება!
საკურნებს ვერც რას სხვა მაძლევს,
ვერც რას შემდეგი მპირდება!
ჩემთა სურვილთა საზღვარი
უფალს არ გაუჩენია.
ცა უარი ვყავ ქვეყნისთვის,
რაც თვალის მისაწვდენია;
მაგრამ მე ისაც დავკარგე,
ველარც აქ მამისვენია!
ცაზეით მოსწყდა ვარსკვლავი,
დაბლა მოიღო ციალი:
არ მოეწონა სამზეო,
იქავ ირჩია ტრიალი;
აიწივა და ვერ ადგა,
—დამძიმებულა ტიალი!
ვიცი, რომ ჩემი წამალი
არ აქვს დღეს, არცა ხვალეთა;
მე მაინც ისევ შემდგომთა
მძლივ ველი დღე და ღამეთა!
ვდგევარ და შავტრფვი მაღალთა
მთათ ფირქად მდგომიარეთა;
ცათ ხან მოწმენდილთ, ხან ბნელთა,
მწვიმელთ და მთოვიარეთა;
მზესა, მთვარეს და მასკვლავთა,
ცის გულზედ მწოლიარეთა!

ბაჩანა.

---

## ირაკლი მეფე,

როგორც თავისის სამეფოს აღმაშენებელი, მისის ეკონომიურ წარმატების მონატრე და მზრუნველი

რამდენიც დრო გადის, ქართველთათვის ფასი და სიყვარული ემატება ჩვენს წარსულს და მისს ისტორიულად შესწავლას. იქნება გვეღირსოს და ჩვენშიაც საზოგადოდ აღიარებულ იქმნას, რომ წარსულის ისტორიულის ცხოვრების უმექონო და საკუთარს კულტურას მოკლებული ერი ტაბარუკი, ბოგანო, ხიზანია, რომელსაც მეზობელნი ხახა-გაღებულნი მოსდგომიან და გადაყლაპვას ემუქრებიან...

შემოდგომაზედ დავპირდი მკითხველს საზოგადოებას ირაკლი მეფის ნაწერების გამოქვეყნებას; დაიბეჭდა კიდეც 15 წერილი, მაგრამ სამწუხაროდ დამირჩა, რომ არსაიდგან არ აღმოჩნდა სხვა რამ ნაწერები მეფე ირაკლისა. თუ გვეღირსა და როგორმე აღმოჩნდა ეგ ნაწერები, მაშინ ის გაგვიწევს იმ სარკის მაგიერობას, რომელშიაც ყველა დაინახავს—ირაკლის—მეფეს, სარდალს, გმირსა და კაცს. ამ ხანად სამს წერილს ვბეჭდავ, რომელთაგან თვითოეული ცხადად გვაჩვენებს ირაკლის ერთს რომელსამე ღირსებას. პირველი წერილი 1775 წ. ეკუთვნის, მეორე 1785 წ. და მესამე 1794 წ. აბა დავუგდოთ ყური:

1. „ქ. ჩვენ მაგიერად ჩვენსა იმედათ მისაჩენელს სახლთუხუცეს ამილბარს ასე უამბეთ: მერე მადანჩათ მისაბარებელი შაგირდები ქართლსა და კახეთში შევაწერეთ. კახეთს გარდა ქართლსა და ქალაქში რაც მისის უწმინდესობის ჩვენის ძმის კათოლიკოზის ყმა არის, ამათ ექვსი კაცი აწერიათ, ამის იასაული შენა ხარ; რომელიც სახლისკაციანი კაცი იყოს, იმისთანა გამოიყვანე, ოცის წლიდამ მოკიდებული ოც-და-ათ წლამდინ რომ იყოს; ამ გვარი უნდა გამოვიდეს. ამაზედ დიდათ ბეჯითი იყავ, ეს ახლავ გაარიგე. იმ შაგირდებს თითო ხელი ტანისამოსი, თითო წამოსასხამი ნაბადი, თითო თოფი და იარაღი და ხუთ-ხუთი მინალთუნი თეთრი უნდა მისცეთ; ამაზე ნურავინ დაბრკოლდება, ეს სარწმუნოების ერთგულებაც არის და თავის ქვეყნისაც. ეს რომ ჩვენს ქვეყანაში გამრავლდეს, მტრისაგან ჩვენის ქვეყნის მორჩენა ამას შეუძლია, რომელიც ამ ხელობას ისწავლის, თავის ოჯახს გაამდიდრებს. ჯერ ამის გემო არ იციან, თვარემ ამის სწავლისათვის კიდეც შემოგვეხვეწებიან. წელიწადში ერთი ოსტატი სამოცსოთხმოცს თუმანს მოიგებს და ამის უკეთესი მოგება გლეხის კაცისათვის სხვა რა უნდა იყოს. ამაზე ბეჯითად თავს შეიდევ, ამის დაგვიანება აღარ იქნება. ამ ათს დღეზე უნდა გაარიგო. აღიწერა ღვინობისთვის კთ, ქორ. უჲგ. დეკემბრის პირველს მორიგე რომ წამოვიდეს, იმას გამოატანეთ და ქალაქს ჩამოვიდნენ.“ ერეკლე

საქართველოში მადნების მუშაობა ძველადგანვე ყოფილა შემოღებული, მაგრამ ჯერ არაბთა, მონგოლთა და მერე სპარსთა და ლეკ-ოსმალთა მძლავრებამ აღმოფხვრა ეს დიდ-მნიშვნელოვანი საქმე. ქართლ-კახეთში საუკეთესო მადნად ითვლებოდა ახტალის ვერცხლის მადანი. ირაკლი მეფემ ჯერ მამის დროს რამდენჯერმე მოიწვია ტრაპიზონიდგან მადნის შემუშავების საქმის მცოდნე ბერძენნი, დაასახლა ახტალას და მიანდო მადნის წარმოება. სპარსნი, ლეკნი, და ოსმალნი რიგ-რიგით აოხრებდნენ ახტალას და ტყვედ მიჰყადათ მემადნენი (მაგ. 1784 წ. იხ. ქართ. ცხ. 499 გვ.). უფრო მკვიდრს საფუძველზედ დაყენებისათვის მადნის საქმისა ირაკლი ჰკრებს სამეფოში ორმოცამდე ყმაწვილ-კაცს—ქართველს ახტალაში შესასწავლად მადნის საქმისა, რომლიდგანაც ბევრს კარგს რასმეს მოელის ირაკლი მეფე. მორიგე ჯარის შემოღების შემდეგ ეს მეორე დაწესებულება დიდ-მნიშვნელოვანია ქართველთა შინაურს ცხოვრებაში. ერთის სიტყვით, ირაკლი მეფემ დაარსა სამთო სკოლა მადნების აღმოსაჩენად და შესამუშავებლად. სახლთხუცესი ამილბარი, ჩემის აზრით, არის კათალიკოზის აზნაური და სახლთხუცესი მცხეთელი გედევანიშვილი,

არავინ ანძრევდა და ყველას თვალები გალომებულ ცეცხლის ალს მისჩერებოდა. რა იყო მიზეზი ამისთანა უმოძრაობისა, ამისთანა მიუშველებლობისა? იქნება ამის მიზეზი ის იყო, რომ ცეცხლთან ბრძოლა არ შეიძლებოდა შეუიარაღებელის ხელით, ხოლო ქალაქს არ მოეძევება არც ერთი ცეცხლის საქრობი იარაღი, არც რკინის კეტი, არც წერაქვი და სხვ. თუ ერთის მხრით ეს იყო მიზეზი, მეორეს მხრით და უფრო ნამდვილი მიზეზი ის იყო, რომ ხალხს ხელის გამოღების ნებას არ აძლევდნენ, ვისიც ჯერ იყო. როგორ და რატომ? ამ საკითხის პასუხად საჭიროა მკითხველმა იცოდეს მიზეზი ცეცხლის გაჩენისა და მისი შედეგი, როგორც ისმოდა ხალხში. ცეცხლის გაჩენის დროს, როგორცა ვსთქვით, სახლში ყოფილა მხოლოდ ორი კაცი, ხოლო მაზრის უფროსი მიწვეული იყო ქ. ტფილისს სამსახურის გამო, საიდამაც ეს ორი კაცი ელოდებოდა თავისს ბატონს სახლობით. ამის გამო, უფროსის ბრძანებით, ამათ მოეწყოთ სადგომი ოთახები ავეჯით, იატაკი გაეწმინდათ ნავთით და დაებოლებინათ გოგირდი. გოგირდ-მოყრილი ცეცხლი ნატეხრიდამ ჩაჰკიდებია იატაკს, შემდეგ მოჰკიდებია ფარდებს და გაჩაღებულა ცეცხლი. მოსამსახურეებს მხოლოდ მაშინ გაუგიათ და ღრიალი დაუწყიათ, როდესაც ცეცხლს კარების შუა გაუპია და აივანისკენ გამოსულა კარში. მაზრის უფროსის თანაშემწის მისვლამდე ადგილობრივი მცხოვრებნი მისულან და დაუპირებიათ სახლში შესვლა და ავეჯეულობის გამოტანა, მაგრამ, როგორც ამბობენ, ქათიბ-ლეკი, სახლის ერთგული მოსამსახურე, ხმალ-ამოღებული გადასდგომია წინ და არავინ შეუშვია სახლში. ეს შორიდამ მაყურებელთათვის საეჭვო საქციელი ჩაუდენია „ქათიბას“, რადგან უცნობ მოკეთეებს არა ჰნდობია, ხოლო ნაცნობნი მოხელენი და უფლების მექო-ნენი-კი გვიან მისულან, იმ დროს, როდესაც მთელი ზემო სართული ცეცხლს შეუპყრია. მაინც ამ დროსაც ქალაქის მცხოვრებთ უნდობლად ეპყრობოდნენ წესის მიმცემნი და მხოლოდ დრუჟინის კაცებს ეპყრობოდნენ ნდობით. ისეთის კიჟინით მოაგორებდნენ ბოჩკას და მოჰქონდათ ორი უვარგისი ფიცარი სამზარეულოდამ, რომ გეგონებოდათ მთელის სახლის ზინათი გადურჩენიათო. მაგრამ ამასთანავე არც ერთი ქალაქის მკვიდრი არ შემხვედრია, რომელსაც დიდის მწუხარებით არ დაეჩივლა ესრეთი უბედური შემთხვევა. საფუძველიც ჰქონდათ ამისთანა მწუხარებისათვის. ამ სახლში დაიწვა რამდენიმე წლობით შეკრებილი ძველი და ახალი განძი, ზოგი საარხეოლოგიო და ზოგი საისტორიო, შეკრებილი თ. ნ. ზ. ჩოლაყაშვილის მიერ. ზოგიერთის ამ ნივთის დაფასება შეუძლებელი იყო, რადგან ახლა მათი მოპოვება, რა ფასითაც უნდა იყოს, შეუძლებელია. ამ გვამს როგორც თიანეთის მაზრის უფროსად ყოფნის დროს, აგრეთვე სხვა დროსაც, შეუკრებია და შეუძენია ფშავ-ხევსურეთში და თელავის მაზრაში ძველი იარაღი და განძეულობა, ძვირფასი საფენი და ავეჯეულობა, მაგრამ ახლა ეს ყველაფერი შეიქმნა მსხვერპლად მოსამსახურეთა გაუფრთხილებლობისა და უყურადღებობისა.

ამ საქმეში, როგორც ყველანი ფიქრობენ, ბოროტ-განმზრახველთა ხელი არ ურევია. დაიწვა მთელი ეს ქონება იმისთანა კაცისა, რომელიც მთელის მაზრის მოსარჩლე და გამაპატიოსნებელი იყო თავისის თავაზიანის მიღებით არა ძხოლოდ შინაურთა და ნაცნობთა, რაიცა ადვილია, არამედ უცხო სტუმართა, რომელთა ღირსეულად მიღება ჩვენს დროს და ჩვენისავე ტომის გვამისაგან იშვიათია, თუმცა-კი სანატრელია და სასურველი ჩვენის დაცემულის სახელისა და დიდების აღსადგენად. ამ მხრივ ახლანდელს თელავის მაზრის უფროსს ცალი არა ჰყოლია თავისს მაზრაში, შემდეგ განსვენებულის დ. ა. ჭავჭავაძისა, თუმცა-კი თავად-აზნაურნი და სიმდიდრის მქონებელნი სხვანიც ყოფილან და არიან. მარტო სიმდიდრე არ არის საჭირო, რომ კაცმა კაცურად მიიღოს ღირსეული და ქვეყნისთვის სასარგებლო სტუმარი.

(დასასრული იქნება)

## წვრილი ამბავი

პარიჟი ყოველისფერით შესანიშნავია: რასაც-კი კაცი მოიფიქრებს, ყველაფერი პარიჟშია; ამ ქალაქმა ყველა ქალაქს და ყველაფერით გაუსწრო წინა, მაგრამ მარტო სიკეთით, წარმატებით და განათლებით-კი არ გამეთაურდა, დაწინაურდა და გამეფდა, არამედ ყოველისფერით ე. ი. სიკეთითაც და სიავითაც. პარიჟისთანა აყვავებული და შემკული ქალაქი სხვაგან არსად არ არის, მაგრამ ამასთანავე პარიჟშივე ჰსუფევს საშინელი გარყვნილობა, სიღარიბე და ველურობა. პარიჟში ისეთი კაცებიც მოიპოვება, რომელნიც თავისის ველურობით აფრიკისა და სხვა მიყრუებულ ქვეყნების განდარებულს ხალხს შესამჩნევად გადააჭარბებენ. აფრიკაში კაცის მჭამელებია, ხოლო პარიჟში-კი იმათზე უარესი კაციც აღმოჩნდა. განა რა უნდა იყოს და ვინ უნდა იყოს კაცის მჭამელზე უარესი? ვინა და ერთი პარიჟელი, განა თუ სხვაგნიდგან გადასახლებული პარიჟში, არამედ შიგ პარიჟშივე დაბადებული და აღზრდილი. აბა მოისმინეთ ერთის პარიჟელის პოლიციის კომისარისა და იმ კაცის ბაასი. კომისარი:

— დიდი ხანია, რაც თქვენ თქვენსავე ხორცსა სჭამთ?

— იანვარს შემდეგ, ბატონო; პირველად ძლიერ მომშივდა და იმიტომ ამოვიჭერ ხორცი აი აქა (მკლავი გაიშიშვლა და ხელი ნიდაყვს ზემოდ რბილის ხორცის ადგილს დაიდო, რომელიც სულ ერთიან ამოსერილი ჰქონდა). ამ ადგილას ტყავი ძლიერ თხელი აქვს კაცსა. მუცლის ხორციც, არა უშორს-რა, ძლიერ გემრიელი ყოფილა. მაგრამ კუნთების ხორციცა ვცადე, ბარკლებისაცა და, სწორედ მოგახსენოთ, ძლიერ უგემურად მეჩვენა, სრულიად არ გარგებულა.

— არა გტკივათ ხოლმე, როცა ხორცს იჭრით?

— ტკივილი რასა ჰქვიან!? მე გამადლებული ველი, თბილი ხორცი და თბილი სისხლი შევჭამო მეთქი. როცა ვღეჭავ, ან ვყლაპავ, ან კიდევ როცა სისხლსა ვწუწნი, რომ იცოდეთ, რა კარგია! ნეტარებაა, სწორედ ნეტარება!

— ეხლა გეუბნებით, მაგ საქმეზე ხელი უნდა აიღოთ, ამიერიდგან აღარ უნდა მოიჭრათ თქვენი ხორცი და გემოდაც არ უნდა ჰსინჯოთ...

— ხელი უნდა ავიღო, ნება აღარა მაქვს!? მერე ვის შეუძლიან, ამიკრძალოს, როგორც შეუძლიანთ გამიბედონ! ჩვენში ყველა კაცი თავისს ნებაზეა, მაშ რადა ჰქვიან ჩვენს სახელმწიფოს რესპუბლიკა!? წინაპირველად, მართალია სიმშილით მომივიდა, რომ ხორცი მოვიჭერი ჩემსავე სხეულზე, მაგრამ ეხლა-კი, რა ნაირი მშვენიერი სადილიც უნდა გამიმართონ, მაინც ერთი ლუკმაჩემი ხორცი მირჩევნია.

ეს ამბავი ტყუილი ნურავის გეგონებათ, ნამდვილი ამბავია, თვით საფრანგეთის სასამართლოთა ანგარიშშია მოხსენებული. ნურც ის გაგიკვირდებათ, მკითხველო, რომ ეს ამბავი პარიჟში მოხდა, — ნუ გაგიკვირდებათ იმიტომ, რომ პირველი არ არის ამ ნაირი ამბავი საფრანგეთში. აი თუ გნებავთ მეორესაც მოგახსენებთ ამაზე არა ნაკლებად საზარელს ამბავსა, რომელიც ამ დღეებშივე მოხდა:

ვიღაც კატო ვოლფი მოსამსახურედ იყო, შემდეგ უადგილოდ დარჩა და სიმშილმა საშინლად შეაწუხა. ილაჯ-გაწყვეტილმა და გამწარებულმა ქალმა თავის მოკვლა გადასწყვიტა და აი როგორ მოიკლა თავი: წავიდა მაინის ფრანკფურტის სამხეცო ბაღისკენ, გაიხადა ტანისამოსი, მთლად გატიტვლდა, ავიდა ღობეზე, ხელში თოკი ჰქონდა, იმ თოკით ჩაუშვა ბაღში და თეთრის დათვისაკენ გასწია უშიშრად. დათვმაც, დაინახა თუ არა, მაშინვე ეცა, ამოიღო ქვეშ და ჭამა დაუწყო. საბრალო ქალმა ერთი მღივსდა მოასწრო დაკივლება: „მიშველეთო“! კივილზე მოვარდა მებაღე, უნდოდა თოფი ესროლა, დათვი მოეკლა, მაგრამ შეეშინდა, ვაი თუ ქალს მოვარტყაო, და სულაც აღარ ესროლა. იდგა მებაღე მოშორებით და აცახცახებული უცქეროდა ამ საზარელს სანახავს.—საფრანგეთიც კარგია, პარიჟიცა, იქაური განათლებაც მოსაწონია და ღირსი, რომ წავბაძოთ, მაგრამ იმ გვარი ამბები-კი, როგორც ჩვენ მოგიხსენიეთ, ვერაფერი სანუგეშოა: ერთი თვითონ სჭამს თავისს ხორცსა და მეორე მხეცს ძალათი უვარდება ხელში, შემჭამე, სიცოცხლე მომისპეო.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

უმორჩილესად გთხოვთ, მისცეთ ადგილი ამ ჩემს წერილს თქვენს გაზეთში და ღონისძიება მომცეთ ჭეშმარიტების აღდგენისა გაზეთ „ივერიის“ მე № 116-ში დაბეჭდილის ამბისა გამო, იმ ამბისა, რომელშიაც მოამბე მოგვითხრობს თიანეთის სასწავლებლის მოსწავლეთა გამოცდას, მაზრის მმართველისაგან მასწავლებლისთვის მადლობის გადახდასა და იმისს საათით დასაჩუქრებასა საზოგადოების მიერ.

მეც სხვათა შორის, მართალია, დავესწარ უფროსის განყოფილების მოსწავლეთა გამოცდას, მაგრამ მასწავლებლისთვის მადლობა არ მითქვამს, რადგან საიმისო ვერა ვნახე-რა. საათით დაასაჩუქრა მასწავლებელი მამასახლისმა თავისეულად და არა საზოგადოების მაგიერ, როგორც მამასახლისმა უთხრა იქ დამსწრე ხალხს. აწინდელ ერთ-კლასიან სასწავლებლის მაგიერ, ორ-კლასიან სასწავლებლის დაარსება აქ დიად საჭიროა და წარსულს წელს ინსპექტორის მამა დეონიდის დასწრებით ეს აუცილებელი საჭიროება ავუხსენ კიდეც საზოგადოების ყრილობას, მაგრამ ეს წადილი აქამომდე აღსრულებაში ვერ მოვიდა, რადგან ხალხში ღონისძიება არ გვეგულება, უკანასკნელ რამდენისამე წლის მოუსავლობის გამო.

თიანეთის მაზრის დრებითი მმართველი
თავ. ვაჩნაძე

---

ბიძა იონა მროველისა. თვით წერილი მცხეთაში აღმოჩნდა.

დაუკვირდით, მკითხველო, დარბაისლურს-მამა-შვილურს კილოს ირაკლის წერილისას! აღვნიშნოთ ერთად უკან-დაუხეველი სურვილი, ანუ ის საგნის სიყვარული, რომლითაც წერილი თავიდგან ბოლომდე გაჟღენთილია; მოვიგონოთ, რომ ლეკ-ოსმალთა განუწყვეტელ შემოსევათა გამო ირაკლის მოსვენება არა ჰქონდა, მეტადრე 1772—1780 წ., და თუ ამ დროს ირაკლი ჰპოულობდა დროს ამისთანა საქვეყნო საქმეებზედ საზრუნველად, დავასკვნათ ერთად, რომ ირაკლი მეფე დიდებული ნათელ-მოსილი შვილია და წარმომადგენელი ქართველთა ერისა. დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მომეტებული ნაწილი ხელ-ნაწერებისა ირაკლის უწერია თოფ-იარაღში ჩამჯდარს, როდესაც კარებზედ შეკაზმული ცხენი ჰსდგომია ქეშიკთა ამალით.

2. „ჩვენი ბძანება არის ქარუმიძე ფარსადან. მერე ეს ბაზლიძე გიორგი ხორასნიდამ მომიყვანია და გამიქრისტიანებია და ერთი უილაჯო გლახა არის. არც დავთარში სწერია და ამას ხარჯში სადმე რევთ. ამას ნურას ხარჯსა და ბეგარაში ნუ გარევთ, თორემ გიწყენთ. ეს თუნდა დავთარშიაც ეწეროს, გლახა არის, და მდივნებმა და ლაშქარნივისებმაც უნდა დავთრიდამ მოშალონ. ამას დაეხსენით, გლახა არის. კათათვის ლა. ქორონიკონს უოგ: — 1785 წ. ქ. თუ დავთარში არა წერებულა, არც სალეკოში მაქვს საქმე და არც სხვაში რაშიმე“. [ერეკლე]

ჯერ ოსმალ-ლეკთა და მერე სპარსთა გაბატონებამ საქართველოში მკვიდრთა რიცხვი მეტად შეამცირა ხოცვით და ტყვედ წასხმით. ამ ორს ბოროტს, ქვეყნის გამაუკაცრიელებელს, ზედ დაერთო მესამე უფრო მავნებელი ბოროტი. თათრებთან მიმოსვლამ ქართველნი შეაჩვია მეფისა და ბატონის ღალატსა და მამულზედ გულის აცრუებასა. მეფის, ანუ ბატონის მხრივ საკმაო იყო ცოტაოდენი მიზეზი, რომ ქართველი გლეხი კაცი, აზნაური და სხვ. (და თვით სამღვდელონიც-კი) გაქცეულიყვნენ დაღისტანში, ანუ ოსმალეთში და იქიდგან ეწყოთ ოხრება სამშობლოსი. რომ ნაოხარნი ბინადრობანი, ნასოფლარნი და ნაავარაკევნი კვლავ დაესახლებინათ და სამეფო ხალხით აევსოთ, თეიმურაზმა და ირაკლი მეფეებმა გამოსცეს ბრძანება ყოველ მხრივ: „უცხო ქვეყანაში წასული, ანუ ტყვედ-წაყვანილი კაცი, ვინც ისევ მოვა და თავის მამა-პაპის ბინაზედ დადგება, იმას შემდეგ წყალობას დავმართებთ: თუ ბატონის ყმაა, ბატონს იმასთან ხელი აღარ ექმნება საბატონ-ყმოდ, თუ თითონ არ მოინდომაო; ყოველივე ბეგრისა და გარდასახადისაგან თავისუფალი იქნება და ლაშქრობის მეტი იმას აღარ ეთხოვებარაო“. ასეთმა მოწყალებით სავსე ბრძანებამ მეფეებისამ ათასობით მოაბრუნა ქართველნი თავისს სამშობლოში და მამა-პაპის ბინაზედ დაამკვიდრა. ამისგამო მრავალი ნასოფლარი აღშენდა და ბევრი ადგილი დასახლებულ იქმნა ირაკლის დროს. ამ წერილში ხსენებული გიორგი ბაზლიძე ყმა იყო გივი ამილახვრისა, ს. ჭალაში მცხოვრებელი (სადაც დღესაც არიან მისი შთამომავალნი ბაზლიძენი), ტყვედ წაყვანილი შაჰნადირის დროს და ხორასანში გათათრებული. ირაკლი უბრძანებს ფარსადან ქარუმიძეს (კასპელს), ამილახვრის სახლთხუცესს, ბაზლიძეს ხელი არ ახლოთ, არ შეაწუხოთო. აჰა, კვლავ მამაშვილური ზრუნვა ირაკლისა სამეფოს აღშენებისათვის და ნასოფლართა დასახლებისათვის. ირაკლი არის „ჭეშმარიტი მხსნელი ტვირთ-მძიმეთა და ჩაგრულთა“! წერილი ეკუთვნის ამილახვრების ოჯახს, ს. ჭალაში მცხოვრებთ.

3. „მისს ბრწყინვალებას კნიაზს გარსევან ჭავჭავაძეს, ჩემგან პატივით სახსოვარს!

სომხითის მელიქოვი სტეფან პავლიჩი რუსეთს იყო, იქ რუსული ენა და წიგნი ისწავლა და აქ ჩვენთან მოვიდა; და ჩვენ ისევ მანდ რუსეთს, შენთან რუსეთს გამოვისტუმრეთ იმ მიზეზისათვის, რომ ინჟინერნი კრეპოსტში მიაბარო და კამფლეტში იმყოფებოდეს; მათის დიდებულების ყოვლად მოწყალის ხემწიფის მოწყალებით, ეგების არტილერის საქმე ისწავლოს და ამ ქვეყანას გამოადგეს. ამაზედ რომ გულსმოდგინება იხმარო, შენს მშობელს ქვეყანას ვალს დასდებ და ჩვენს გულსაც მოიმადლებ. ამ სტეფან პავლიჩმა ჩვენგან ვედრებით ითხოვა და ამისთვის გწერ: თუ შენგან შეიძლებოდეს, დროზედ კაპიტნობის ჩინის შოვნაზედ შეეწიო და უშოვნო. უფრო მხიარებულებით ეცდება სწავლის მიღებას და საქართველოს შესამატი საქმე იქნება. 1794 წ. ნოემბრის 5-ს.

მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა [ერეკლე]

ირაკლი მეფეს, სხვათა შორის, აწუხებდა იმის ზრუნვა-ფიქრიც, რომ როგორმე გადმოენერგა ევროპიული, სახელმწიფო გამგეობისათვის შემუშავებული წეს-წყობილება, მეტადრე, სამხედრო მეცნიერება. ამისათვის ყველა კაცს, ვისაც კი ჰსურდა რუსეთში, ან ევროპაში წასვლა *), ირაკლი ხელს უმართავს და არასა ჰზოგავს. ამისთანა ზრუნვით ირაკლი დატვირთულია თვით უკანასკნელ დღემდე. თუ არ იდუმალი, ქვემხედი და გაიძვერული პოლიტიკა არა მოსაზღვრეთა და შინ შემოშვებულ სტუმართა, ირაკლის ამისთანა ენერგიულს, თავგამოდებულის საქმიანს ზრუნვას თავის სამეფოს წარმატებისათვის ხელს ვერ შეუშლიდა ვერც დაღისტანი, ვერც სპარსეთი და ვერც ოსმალეთი. ირაკლი იყო უმანკო მსხვერპლი თავისის გადაჭარბებულის გულკეთილობისა და მეგობარზე მინდობისა.

ირაკლის ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი დაღისტანი, სპარსეთი და მისი ძენი; ამისათვის მათთან შორს მხედველი და გამჭრიახე ირაკლი მეფე, სხვებთან მეტის მეტი გულ-უბრყვილო და ალალ-მართალი კაცი იყო; ამათთან ადვილად სტყუვდებოდა ანგარიშში და მუდამ წაგებული რჩებოდა.

პ. ცხვილოელი

*) მაგ; პაატა ბატონიშვილი და პაატა ანდრონიკაშვილი თოფჩიბაში (артилеріи начальникъ), რომელმაც რუსეთი და ევროპა მოვლო, სამხედრო საქმე შეისწავლა და საქართველოდ მოსრულმა მოაწყო თოფხანა ევროპიულს წესზედ. ამისათვის ლეკები ჰმტრობდნენ პაატას, აიკლეს მისი სახლები ს. ფხოველში და პაატას მეუღლე ტყვედ წაიყვანეს. პაატაზე თავისს დროს ცალკე წერილი გვექმნება. (იხ. ქართ. ცხ. 439 და 508 გვ.).

## II

ამასთანავე გიგზავნით ბეჟათუბანში შეკრებილს ფულს მცხეთის დედათა სკოლის სასარგებლოდ, უმორჩილესად გთხოვთ, გარდასცეთ დანიშნულებისამებრ ე. ი. ილუმენია ნინოს და დაბეჭდოთ, შემომწირველთა სიაც თქვენს პატივცემულს გაზეთში.

| | | |
|---|---|---|
| ბოქაულმა ალექსანდრე წერეთელმა | 3 | მ. |
| რამან ყიფიანმა | 2 | „ |
| კნეინა სალომე ჩხეიძისამ | 1 | „ |
| ეკატერინა ყიფიანისამ | 1 | „ |
| სვიმონ ყიფიანმა | 1 | „ |
| ვარდენ ყიფიანმა | 1 | „ |
| მიხეილ ყიფიანმა | 1 | „ |
| ივანე ჩხეიძემ | 1 | „ |
| გრიგოლ ჭუმბურიძემ | 1 | „ |
| პეტრე შვაჩენკომ | 1 | „ |
| პეტრე კიკნაძემ | 1 | „ |
| კირილე ხარაძემ | 1 | „ |
| იოსებ ბარბაქაძემ | 1 | „ |
| დავით მახარაძემ | 1 | „ |
| მიხეილ შენგელიამ | 1 | „ |
| ანდრო შაფათავამ | 1 | „ |
| ნიკო შამბერაშვილმა | 1 | „ |
| ლეონტი კუკიანიძემ | 1 | „ |
| სევასტი კორძაიამ | 1 | „ |
| ფედორ ბესოლოვმა | 1 | „ |
| მღვდელმა გაჩეჩილაძემ | 60 | კ. |
| ულულოვმა ალექსანდრამ | 55 | „ |
| ნიკოლოზ ბარბარიგომ | 50 | „ |
| მიხეილ სააკაძემ | 50 | „ |
| ელეფთერ ხარაძემ | 50 | „ |
| დიაკონმა სვიმონ ხარაძემ | 50 | „ |
| პლატონ გორგაძემ | 50 | „ |
| გრიგოლ იესეს ძემ ორჯონიკიძემ | 50 | „ |
| ამირან ებანოიძემ | 50 | „ |
| ზაქარა ხიხაძემ | 50 | „ |
| ანდრო ჯაშმა | 50 | „ |
| დიმიტრი ლორთქიფანიძემ | 50 | „ |
| ნიკო თოფურიამ | 50 | „ |
| ლევან ლაცაბიძემ | 50 | „ |
| დიმიტრი ტყეშელაშვილმა | 50 | „ |
| ტერენტი მაჭავარიანმა | 30 | „ |
| ილარიონ კიკნაძემ | 20 | „ |
| ნიკოლოზ დუგლაძემ | 20 | „ |
| ზაქარია ხვედელიძემ | 50 | „ |
| სულ შესდგა | 31 მან. 85 | კ. |

ხარჯი ფოსტისა 37 კ., დარჩა 31 მან. 48 კ., რომელსაც გიგზავნით—48 კ. მარკებს და სხვას ფულად.

 რ. ყიფიანი

20 ივნისს.

## დეპეშა

21 ივნისს

**პეტერბურგი.** გუშინ მათ უდიდებულესობათ გაიარეს განგუდის მახლობლად დ იუნგფრუზუნდში მიბრძანდნენ.

**პარიჟი.** მოსკოვის გენერალ-გუბერნატორად ნამყოფი თავ. დოლგორუკოვი გუშინ პარიჟში გარდაიცვალა. განსვენებულს შირიმი ჰქონდა და თან გულიცა სტკიოდა.

**პარიჟი.** პალატამ განიხილა კომისიის მიერ წარდგენილი სატამოჟნო გარდასახადები ღვინოსა, არაყსა, ლიკიორსა და ახალს ყურძენზე. არაყეულობაზე ერთს გექტოლიტრს ალკოგოლზე 80—70 ფრანკს აიღებენ.

**ლონდონი.** ფერგიუსსონი დაჟეშმარიტებით ამბობდა პალატაში, რომ, რაც დროგამოშვებით ინგლისსა და იტალიას უთქვამს ერთმანეთში შესახებ ერთად მოქმედებისა ხმელთა შუა ზღვაზედ, მარკიზმა დე-რუდინიმ კარგად ასწერა თავისს უკანასკნელს სიტყვაშიო. ინგლისის ძალის მოხმარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ უყურებს ინგლისის მთავრობა რომელსამე გარემოებას; უკვე არსებული მორიგება არც ცალკე რომელისამე სახელმწიფოს წინააღმდეგაა მიმართული და არც წინააღმდეგ რომელთამე შეერთებულ სახელმწიფოთა.

22 ივნისი

**პეტერბურგი.** მეორე ვიკარიდ ახლად დაარსებულის ვლადიმირ-ვოლინის სავიკარიოსი ვოლინის ეპარქიაში დაინიშნა არქიმანდრიტი პაისი, უფროსი ვლადიმირ-ვოლინის მონასტრისა.

**ნიუ-იორკი.** ერეიეს რკინის გზაზე სახალხო მატარებელი დაეჯახა საქონლის მატარებელს და ამ დაჯახების დროს ორი საწოლს ვაგონსა და რამდენსამე ისე სხვა ვაგონს ცეცხლი წაეკიდა. 25 მოკვდა, 38 დაშავდა და ზოგი ძლიერ მძიმედაც დაშავდა. რამდენიმე კაციც ცეცხლზე დაირუჟლა.

**როტერდამი.** გერმანიის იმპერატორმა და იმპერატრიცამ ინახულეს გაგა და როტერდამიდგან ლონდონს გაემგზავრნენ.

**სან-ფრანცისკო.** შეიტყეს საზარელი დაწვრილებითი ამბები ტანიანგის სხვა-და-სხვა ადგილებში ქრისტიანეთა ეკკლესიებისა და მისიონერთა სადგომების მოსრისა. დაბალს ხალხს მკვდრები ამოუყრია საფლავებიდგან ქრისტიანეთა სასაფლაოზე. ამ უწესოების ჩამდენთა მეთაურებად საიდუმლო საზოგადოებანი ყოფილან, რომელთაც ჰსურთ თურმე ჩინეთი უცხო სახელმწიფოებს შეაბრძოლონ და ხალხში არეულობა მოახდინონ.

პეტერბურგის ბირჟა, 21 ივნისი.

| | მყიდველ-თისა. | | გამყიდ-ველისა. | | გაყიდულ-თისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7 | 10 | 7 | 15 | — | „ |
| ტამოჟნის კუპონები | 142 | | 142½ | | — | „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1, | 04 | 1, | 06 | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 242¼ | | — | „ | — | „ |
| —მეორისა | 222¼ | | — | „ | — | „ |
| —მესამისა | — | „ | — | „ | — | „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი | 212 | | — | „ | — | „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — | „ | — | „ | — | „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ. ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.


## განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი ალნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. | „ | 30 |
| რამდემიმე ლექსი ცახელისა. | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი | 1 | „ |
| ბრძენი | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით | „ | 50 |

სამალანტერიო მაღაზია

**პ. ი. ბროდსკისა**

**გადავიდა** შუა-ბაზარში, კათოლიკეთა ქუჩის კუთხეზედ, სადაც წინად მერაბოვის ლამპის მაღაზია იყო.

(20—72—15)

**საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა**

„უ რ ბ ე ნ ი“ (L'URBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“ 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დაზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფის დროს ანთავისუფლებს გადიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი მალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, გრაფის ქუჩაზედ, თავ. ჭავჭავაძის სახლში, „სევერნი ნომრების“ გვერდით.

დებარება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზანებათ.

(20—13)



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ.—კ. | 6 თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებული, ან შესწორებული იქნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.